საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030132424085917

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/30761 **16 / მაისი / 2017 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით (2017 წლის 23 თებერვლის №ბს-902-894(2კ-16) სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დაეკისრა იოსებ მამულაძის სასარგებლოდ სახელმწიფო კომპენსაციის ანაზღაურება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საჭიროა „მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა“ (პროგრამული კოდი-35 02 01) პროგრამით გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში განხორციელდეს დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება და „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე გაიზარდოს „სხვა ხარჯების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები.

ასევე, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტომ“ „მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა“ (პროგრამული კოდი-35 02 01) პროგრამით გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში განახორციელა „პოლიგრაფიული ნაწარმის“ (სახელმწიფო გასაცემლის საქმის ყდა, განცხადება სახელმწიფო გასაცემლის დანიშვნა-ცვლილების შესახებ და გადაწყვეტილება სახელმწიფო გასაცემლის დანიშვნა-ცვლილების ან მასზე უარის თქმის შესახებ) შესყიდვა. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საჭიროა პროგრამის ფარგლებში განხორციელდეს ცვლილება და „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე გაიზარდოს „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები.

გთხოვთ, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განახორციელოთ დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება, დანართის შესაბამისად.

პატივისცემით,

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი ნოე ქინქლაძე